

# ანგლიკანური ეკლესია აღსარების საიდუმლოს აღარ დაიცავს



გაერთიანებული საფემოს  
ანგლიკანური ეკლესიის  
სასულიერო პირები  
ამიერიდან აღსარების  
საიდუმლოს აღარ შეინახავენ.

კენტერბერის ეპარქიის ბრძანებით სექსუალური და სხვა დანაშაულის შემთხვევაში სამღვდელო პირები ვარდებულები არიან აღსარებაში აღიარებული საქციელის შესახებ პოლიციას შეატყობინონ.

ბრძანებაში განმარტებულია, რომ მითითების შესრულება იმ შემთხვევაშია აუცილებელი, თუ მოძღვარი ჩათვლის, რომ დაზარალებულ მხარეს საფრთხე ემუქრება. ასევე, აღსარების წინ სასულიერო პირი ვარდებულება ამცნოს აღსარებაზე მოსულ პიროვნებას, რომ საჭირო შემთხვევაში მისი საიდუმლო პოლიციისთვის გახდება ცნობილი.

კენტერბერის ეპარქიის მდივანმა ჯუდიან ჰიდგმა [The Telegraph](#)-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ ასეთი გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც ანგლიკანურ ეკლესიაში რიგი უსიამოვნო შემთხვევა გახმაურდა.

*“მოძღვარი, რომელიც დანაშაულის საიდუმლოს ინახავს, ამ დანაშაულის თანამონაწილე ხდება და ამგვარად თავის თავს და ეპარქიასაც იურიდიული და მნეობრივი დიღემის წინაშე აყენებს. ჩვენი მიზანია, გავაფრთხილოდ აღსარებაზე მოსული მორწმუნე, რომ მისმა აღიარებამ შესაძლოა მოძღვარი დანაშაულის თანამონაწილე აქციოს”– განმარტა ეპარქიის მდივანმა.*